ნოვა

შპს ნოვა
ს/ნ 202358126

შპს „ნოვა პროდაქშენ
ს/ნ 445585607

NOVA PRODUCTION

წერილი N თბ-20.01.2022
თარიღი: 20.01.2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მოგახსენებთ, რომ კომპანია „ნოვა"-ს 2019 წელს სამინისტროსთან (2019 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით, წერილი N5996/01, თარიღი: 14.06.2019) შეთანხმებული აქვს ხელახლა შემუშავებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი და ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი #261 ახორციელებს პოლიეთილენის ავზების წარმოებას.

გარდა ამისა, კომპანიას ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. 188, 2020 წელს (N10021/01, 22/10/2020) მიღებული აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე.

2021 წელს შპს „ნოვა" ითხოვდა შვილობილ კომპანიაზე შპს „ნოვა პროდაქშენ"-ზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემას, თუმცა ამ დრომდე ვერ მოხერხდა საკითხის გადაჭრა (აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ შეწყვიტოთ საქმის წარმოება ჩვენს მიერ, სამინისტროში წარმოდგენილ 2021 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებულ წერილზე N თბ-18.10.2021-01, (სამინისტროს მიერ მინიჭებული წერილის ნომერი 18770, 19.10.20), რომელზე პასუხიც არ მიგვიღია). ორივე კომპანიის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, საკითხის დროულად მოგვარების მიზნით, გადაწყდა შპს „ნოვა"-ს მფლობელობაში არსებული ავზების საწარმოო ხაზების (დანადგარების) შპს „ნოვა პროდაქშენისთვის" საკუთრებაში გადაცემა. მოგახსენებთ, რომ საწარმოო ხაზების გადაცემით არ იცვლება წარმოების ტექნოლოგია, საწარმოო ხაზების განთავსების ლოკაცია, შესაბამისად შენარჩუნებულია გენერალური გეგმით გათვალისწინებული პირობები.

კომპანია „ნოვა ფროდაქშენ"-ი, როგორც შპს „ნოვა"-ს შვილობილი კომპანია, თანახმაა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საკუთრებაში მიღებაზე, ამასთანავე ორივე მხარე იღებს პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებაში (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი) მითითებული პირობების, უფლებებისა და მოვალეობების შესრულებაზე.

გთხოვთ, უმოკლეს ვადებში, დაჩქარებული წესით, განიხილოთ საკითხი, შეითანხმოთ პირობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე სრულად გადაცემასთან დაკავშირებით და მოგვცეთ რეკომენდაცია დამატებით შესასრულებელ საკითხებზე.

საკონტაქტო ინფორმაცია:
საკონტაქტო პირი: ლია ბოლქვაძე, ტელ: 568 40 77 55, ელ. ფოსტა: L.bolkvadze@nova.ge

პატივისცემით,

შპს "ნოვას" გენერალური დირექტორი
ედიშერ ხიმშიაშვილი

შპს "ნოვა ფროდაქშენ"-ის დირექტორი
ალექსანდრე მეხრიშვილი

№ 730
"20" 01 2022